ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7993239

ნომერი: AR11144158

თარიღი : 21.05.2026

გაცემის თარიღი : 07.07.2026

გაცნობის თარიღი : 07.07.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თაბუკაშვილი (ყოფ.ძნელაძე), N 38 ა , (ნაკვ:16/5);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლანა ჩაკვეტაძე პ/ნ 62002006720
- ოჩამჩირე ს. ახალდაბა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 9 ოქტომბრის №7659625 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 21 მაისს №AR11144158 განცხადებით მომართა ლანა ჩაკვეტაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 9

ოქტომბრის №7659625 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 9 ოქტომბრის №7659625 ბრძანებით მოწონებულ იქნა, №01.15.04.016.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის (ძეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა სამუშაოების ნებართვა.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2025 წლის 9 ოქტომბრის №7659625 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების, კერძოდ, მიწის ნაკვეთის ფართობის 657.0 კვ.მ-ის, განაშენიანების ფართობის - 367.68 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობის 300.16 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და დერეფნის ფართობის - 360.16 კვ.მ-ის., სასტუმროს ნომრების ფართობის - 670.66 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობის - 10.69 კვ.მ-ის, საერთო ფართობის - 1341.67 კვ.მ-ის დამატება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები და დასაფიქსირებელი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ შესაძლებელია შეთანხმებულ ბრძანებაში დაემატოს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. ამასთან, შეთანხმებული გეგმები (გარდა სახურავის გეგმებისა) არ იცვლება, ხდება მხოლოდ წარმოდგენილ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 9 ოქტომბრის №7659625 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 9 ოქტომბრის №7659625 ბრძანებაში და „დამკვეთის ინფორმაციის“ ველის შემდგომ დაემატოს „ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლების ველი“ შემდეგნაირად:
“ ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები:

- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 657.0
- განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 367.68
- საერთო ფართობი (კვ.მ).: 1341.67
- დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 300.16
- კიბის უჯრედისა და დერეფნის ფართობი (კვ.მ).: 360.16
- სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ).: 670.66
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 10.69 „

2. სამსახურის 2025 წლის 9 ოქტომბრის №7659625 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა სახურავის გეგმებისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 9 ოქტომბრის №7659625 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 9 ოქტომბრის №7659625 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.